**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | . . 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, | . . 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, | . . 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, | . . 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, | . . 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, | . . 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, | . . 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, | . . 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, | . . 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, | . . 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, | . . 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, | . . 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 260 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 260

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.



კვირას, 14 ნოემბერს, განსვენებულ

**იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის**

სულის მოსახსენებლად, გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ჩუღურეთის ნიკოლოოზის ეკკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა გარდაცვალებულისა **ეკატერინე სიმონის ასული** და ცოლი მისი **ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ.** წირვა დაიწყება დილის ათ საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათზედ. (2—1).

**თევდორე მარკოზის ძე კუჩავა შვილებითურთ** და **თომა დიმიტრის ძე ჯანჟარაშვილი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—შვილისას და მეორე—ცოლის ძმის

**ვანო თევდორეს ძის კუჩავასას**

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 13 ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ, (მუხრანის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 9), ხოლო დაკრძალვა კვირას, 14 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზედ. (2—1).

ტელეფონი № 63. აბონემენტის რიცხვში წარმოდგენა № 5.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად

I

ახალი პიესა

**საქმის კაცი**

(ლუკლის ძმა)

დრამა 3 მოქმ., მირბოსი, თარგ. ღორთქიფანიძისა.

II

**საიდუმლო**

ეტიუდი 1 მოქმ. [illegible], თარგ. გ. შათირიშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, სარჯველაძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი დ სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

შემდეგი წარმოდგენა—ბენეფისი ვას. აბაშიძისა.

**მზადდება წარმოსადგენად:** «იულიოს კეისარი», «მედეია», «ერნანი» და სხვ.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** $1^1/_2$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ა. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოხუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

შაბათს, 13 ნოემბერს,

მე-5 გალა-წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**ფენელლა**

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა ობერისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ნიკიტსკაია, ზასლავსკისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, დონსკოი, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 14 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**ნერონი**

ოპერა 4 მოქ. 6 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა.,

ორშაბათს, 15 ნოემბერს,

საქველ-მოქმედო აზრით

წარმოდგენილი იქმნება

I

M-lle **ფიფი**

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.

II

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა როსსინისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «ალეკო», მუსიკა რახმანინოვისა და «მანდარინის შვილი», ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

იაპონელები კორეიაში. სეულიდან იუწყებიან, რომ იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს შეადგინოს თავისუფალი კორპუსი ადგილობრივ მკვიდრთაგან ჩრდილო - აღმოსავლეთ კორეიაში მყოფ რუსების წინაამდეგ სამოქმედოთო. იაპონიის სარდლები ამ კორპუსით თავდაპირველად დაამარცხებენ რუსებს და განდევნიან მათ მდინარე ტუმენიდგან და შემდეგ ამისა გაემართებიან პარდაპირ ვლადივოსტოკისაკენ. თვით ეს კორპუსი სამის დივიზიისაგან იქმნება შემდგარი. იმავე გაზეთის სიტყვით, იაპონელები ამ ჟამად აკეთებენ რკინის გზას სეულიდან გენზანამდე. (ნოვ. ვრ.).

—

რა გზას დაადგება გენერალი კუროპატკინი? გაზეთ «New-Iork Herald»-ის სამხედრო მიმომხილველი ამბობს, რომ ამ ჟამად ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა გზას აირჩევენ სამოქმედოთ მთავარ-სარდლება ოიამა და კუროპატკინი, რომელთა ჯარებიც მდინარე შახეს იქით და აქეთ მხარეს არიან დაბანაკებულნიო.

მარშალ ოიამას, საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობის მიხედვით, არა მგონია, რომ სურვილი ჰქონდეს საწინააღმდეგო მოქმედება თვითონ დაიწყოს, რადგანაც მისის მეზრძოლის ჯარის საუკეთესო ნაწილი ამ ჟამად პორტ-არტურთან იბრძვის, რომლის აღება ჯერაც ვერ მოუხერხებიათ, მაგრამ ეს გარემოებაც რომ არ იყოს და პორტ-არტური თუნდ აღებულიც იყოს, ოიამა მაინც არ დაიწყებს ამ ზამთარს სატევ მოქმედებას. სულ სხვა რიგად მოიქცევა გენერალი კუროპატკინი. მისი ინტერესები ბევრად განირჩევა მოპირდაპირის ინტერესებისაგან. კუროპატკინი დაუყოვნებლივ დაიწყებს სატევ მოქმედებას, რომ ამ ნაირად როგორმე გზა გაიკაფოს ალყა-შემორტყმულ პორტ-არტურისაკენ, რომლის გამოხსნაც ასე საჭიროა რუსეთისათვის და, თუ გენერალი კუროპატკინი ჯერაც ვერ იწყებს ასეთს მოქმედებას, ამის მიზეზი თავდაპირველად ის არის, რომ ჯარის საკმარისი რიცხვი არა ჰყავს, მაგრამ, დღეს იქნება თუ ხვალ, მისი ჯარის რიცხვი maximum-ს მიაღწევს და მაშინ, თქმა არ უნდა, თითონვე დაეცემა მტერს და ეცდება მის დამარცხებას. (ნოვ.).

—

როგორც გაზეთ «ნიუ-იორკ ჰერალდ»-ს ატყობინებენ, მუკდენის ახლო-მახლო მიდამოებში უკვე დაუწყვიათ სამხედრო მოქმედება. იაპონელები მთელის თავისის ძალ-ღონით რუსების მარჯვენა ფრთეზე ეპირებიან დაცემას. ახალ ჯარების ბრძოლის ველზე გადმოყვანა და საჭირო სურსათის გადაზიდვა რკინის გზით ამ უკანასკნელს ხანებში ძალიან გასაჭირი ხდება, რადგანაც ლიანდაგი გაფუჭებულია და დღითი-დღე უარეს ყოფაში ვარდება. (რ. ვ.).

## ახალი ამბავი

—

**დიდის მთავრის დეპეშა მარშალსადმი.** ჩვენმა მარშალმა თ-მა დ. ზ. მელიქიშვილმა მიულოცა კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფს მისს იმპერატორებით უმაღლესობას სახელწოდების დღე. პასუხად კანნიდან (საფრანგეთშია) მის ბრწყინვალებას მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

„ნამესტნიკად ნამყოფი მოხუცი უგულითადეს მადლობას უძღვნის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას კეთილად მოგონებისა და სახელწოდების დღის მოლოცვისათვის. თქვენ, ბატონო, გულწრფელად გმადლობთ. მიხეილი".

*** **ქართველ მსახიობ ქალის გამგზავრება მოსკოვში.** ქართულის თეატრის მსახიობი ქ-ნი ქეთევან ანდრონიკაშვილი (კახიძისა) ეს ორიოდე კვირაა, რაც გაემგზავრა მოსკოვში, რათა იქ უკეთ შეისწავლოს რამდენიმე როლი, განსაკუთრებით კი ზეინაბის როლი, თვით ავტორის ბ-ნ ა. სუმბათაშვილისაგან.

*** **უფასო ლექციები.** ბაქოს ქალაქის იურისკონსულტი ბ-ნი ლ. ანდრონიკაშვილი, ეს მეორე წელიწადია, რაც მოზრდილთათვის ადგილობრივ საღამოს კურსებზედ ხეპირათ კითხულობს ლექციას შაბათობით საინტერესო თემაზედ: «Исторія новѣйшей философіи». რადგანაც პატივცემული ლექტორი, დიდ მომზადებაერუდიციასთან ერთად, კარგი მჭერმეტყველიც არის,—იმის ლექციებს დიდძალი საზოგადოება ესწრება, და სულ-განაბული უსმენს საყვარელ ლექტორს და ლექციის გათავებისას დიდის ხნით გულწრფელის ტაშის-ცემით აჯილდოვებს.

ამავე კურსებზედ კითხულობენ ბ-ნნი გრიგოლაშვილი და ავალიანი მათემატიკას და ალგებრას და ქ-ნი ნ. პ. მიქელაძისა—ფრანგულ ენას.

*** **მადლობის გამოცხადება.** ქალთა მეორე საკვირაო სკოლის მასწავლებელნი გულწრფელ მადლობას უცხადებენ ყოვლად პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს, მისის გამოცემათა შემოწირვისათვის სკოლის სასარგებლოდ.

*** **მისაბაძი მაგალითი.** ამ დღეებში კერძო კრება ჰქონდათ სომხის შეძლებულ კაცთ სომხურ დრამატიულ საზოგადოებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. კრებაზედ გადასწყვიტეს, ვისაც რა სურს შესწიროს სომხურ დრამატიულ საზოგადოებასაო. ბ-ნმა მანთაშევმა ამ საქმისთვის გაიღო 5,000 მანეთი. ბ-ნმა აფრიკიანმა—1,000 მან. და ასე კიდევ მრავალმა სხვებმა. ამგვარად იმდენი ფული შეგროვდა, რომ სომხურ დრამატიულ საზოგადოებას რამდენისამე წლის განმავლობაში შეუძლიან მარტო ამ შეწირულ ფულით შეინახოს მთელი დასი, ისე რომ წარმოდგენის შემოსავლიდგან სრულიად არაფერი დაჰხარჯოს.

ჩვენს დრამატიულ საზოგადოებასაც გამოუჩნდებოდნენ ნეტა ასეთი გულშემატკივარნი, რომ იქნება ფეხზედ დადგეს.

*** **ახალი გამომცემელი ამხანაგობა.** როგორც ვიცით, არსდება ახალი ქართულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, ვრცელ საფუძველზე დამყარებული, სახელწოდებით «ცისკარი». ამხანაგობას აზრად ექმნება უცხო მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნა და გამოცემა, აგრეთვე ორიგინალურ ნაწარმოებისაც. ამხანაგობის დამაარსებელნი ამ ჟამად ჯერ ისევ მზადებაში არიან. საქმეს მეთაურად უდგა ისეთი კაცი, რომ ამ განზრახვის აღორძინებისა და წარმატების საქმე ყოველსავე ეჭვს გარეშეა.

*** **გასიდ წერეთლის** წერილების («ქლექის წინააღმდეგ ბრძოლა» და ხოლერა») გამოცემა, რომელიც «ივერიაში» იბეჭდებოდა და ზოგი ახლაც იბეჭდება, ბევრს სხვასაც განუზრახავს. სასურველია გაგება, ბ-ნი ფოფხაძე, რომელსაც ავტორმა ნება დართო ამ წერილების გამოცემისა, კისრულობს თუ არა ორივეს გამოცემას, რომ სხვები მაინც დროით შეუდგნენ მათს გამოცემას და ხალხში გავრცელებას.

*** **ტფილისის სათავად-აზნაურო** სასწავლებლის გამგე კომიტეტმა გააუქმა ამ სკოლის საოჯახო ნაწილის კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა სკოლის მმართველისა და მასწავლებლებისაგან, დ ადაადგინა, ჩაებაროს სკოლის საოჯახო ნაწილის გამგეობა გამგე კომიტეტის ორს წევრს: თავ. ვ. მაჩაბელსა და ნ. ზ. ცხვედაძეს.

*** **გველესიანის არჩევა გამგეობის წევრად.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრად, ქალაქის საბჭოს 10 ნოემბრის სხდომაზედ, ისევ ბ-ნი გრ. გველესიანი აურჩევიათ. (21 თეთრი, 11 შავი კენჭი).

*** **მადლობის გამოცხადება.** ამ წლის სექტემბრისა და ოკტომბრის განმავლობაში ტფილისის უსინათლოთა სასწავლებელს შემოწირულება მიუღია ფულად და ნივთებით ელისავეტტალის ახალშენის პასტორისაგან, ტფილისის მე-7 ნაწილის ბოქაულისაგან და მევენახეთა ამხანაგობის „კახეთი»-საგან, რისთვისაც სკოლის გამგეობა უღრმესს მადლობას უცხადებს ყველა შემომწირველთ.

*** **კავკასიის სამხედრო სასამართლოს** სესსიას ქ. ერევანში 6 ნოემბერს ჩამოდრჩობით სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია ორის სომხისათვის—კეღამ პოღოსიანცისა და სარიბეკ კასაიანცისათვის, რომელთაც ერთის მთელის ოჯახის ამოწყვეტა ჰბრალდებოდათ. როგორც ჰფიქრობენ, ეს ბოროტ-მოქმედება იმიტომ ჩაუდენიათ, რომ მოკლულთ ქალი გაუთხოვებიათ და რუსისათვის მიუციათ.

*** **ანდრეევის მოკვლის საქმე.** 24 ნოემბერს განჯაში დანიშნულია სამხედრო სასამართლოს სესიაში საქმე განჯის ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლის შესახებ.

*** **ელექტრონის ტრამვაი.** 11 ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ, უკვე გაუშვეს

ელექტრონის ტრამვაის ვაგონი სადოვის ქუჩასა და მიხეილის პროსპექტზედ. საელექტრონო სადგური დაათვალიერა საგანგებო კომისიამ და მოიწონა; ასე რომ, ელექტრონით მოძრაობა ვაგონებისა მალე დაიწყება.

# საქართველო

## ქ. სიღნაღი.

**ორ-გვარი მოძრაობა.—ხმოსანთა არჩევნების მოახლოვება.—სამხედრო ბეგარის ხალხი.—დედათა სკოლა.**

ჩვენ ქალაქ სიღნაღში დიდი მოძრაობაა, ამ დიდ მოძრაობასთან დიდი პირქუშობა და მოწყენილობაცაა. პირველი მოძრაობა, შენ-ჩემობა—სადილები, დიდი მეგობრობა და ერთმანეთობა ხმოსნების არჩევნების მოახლოვებამ გამოიწვია. მეორე მოძრაობა და ქალაქის ახმაურება სხვა და სხვა ეროვნულ სიმღერებით—სამხედრო ბეგარაში გაწვეულ ყმაწვილ კაცობის მიზეზია. ისინიც ჩქარა გაათავებენ კენჭის ამოღებას და ქალაქიც მიყრუვდება. საითაც მიიხედავ, ჟიჟინი აქვს ხალხს. ეს ხალხი ჯან-ღონით სავსეა და მხიარული, მხიარული ცოტა ხანს მაინც. მღერიან ქართულად, სომხურად, რუსულად. ასე გასინჯეთ, ცირკი და ცირკაჩკებიც კი მოგვევლინა. გარდა ამ ცირკაჩკებისა, უქმე დღეებში ჭიდაობაც იმართება ჩვენს ქალაქში.

ამაების მნახველნი და ისიც ქ. სიღნაღში, მაშ ნუ ვიმხიარულებთ? ჩვენ თუ ვმხიარულობთ, სამაგიეროთ არის ერთნაირის დარგის ხალხი, რომელსაც თავპირი ჩამოსტირით, თუნდა შვილიც მოუნათლოთ თქვენის ხარჯით, თქვენი აინოინით, მაინც შუბლს ვერ გაახსნევინებთ და, რაც უნდა ეცადოთ, ვერ გაალიმებთ. ესენი არიან ცხარე სასმელების გამყიდავნი—მიკიტნები და «ბუფეტჩიკები».

მოგეხსენებათ, სანამ სამხედრო ბეგარაში მოწვეული ყმაწვილ-კაცობა კენჭის ამოღებას არ გაათავებს, ღვინო-არაყის მოვაჭრეებს დუქანი დაკეტილი უნდა ჰქონდეთ. აი მიზეზი, რისთვისაც არის ეს ხალხი დაღონებულ-მოწყენილი. ყველა მიკიტანი ზის გულ-ხელ დაკრეფილი თავის მაგრათ მიკეტილ დუქნის წინ და ევსება ბოღმით გული. ან რაღა აქვს სამხიარულო? აი ეხლა მოტანებულია პატენტის, გილდის და სხვა და სხვა მოწმობის აღების დრო, რომელშიაც კარგა ბლომა ფული უნდა გაიღოს.

მართალია დაკეტილები აქვთ დუქნები, მაგრამ განა ამ დაკეტით სმა-ლოთობა და ღრიანცელი მოისპობა? სრულებითაც არა. ასეთი გაჭიკნილი ტიკ-ტიკჭორები მოაცუხცუხეს თან საკენჭე ბიჭებმა, რომ თქვენი მოწონებული! არის ერთი ვაიუშველებელი და ღრიანცელი ბაკებში. ამ არღნების ჭიჭყინმა ხომ ყურთა სმენა გამოგვაცალა. მიკიტნებს დუქნები დაკეტილი აქვთ, მაგრამ ამით ცარცვა-გლეჯა, ტაციაობა და უსვინიდისო, წრეს გადასული ლაზღანდარობა არ იქნა და არ მოისპო, პირ იქით, შედარებით წინა წლებისა, უფრო მოიმატა.

მეორე თავში [illegible] ქალაქის სკოლების უვარგისობა და მათი გამობრუნებაა, ამას კი, რაც შეიძლება, მალე უნდა მიექცეს ყურადღება; ეს, ვგონებ, ქალაქის მამების მოვალეობაა. ქ. სიღნაღს აქვს სამი სკოლა, საქალაქო სამ-კლასიანი, მარიამის დედათა სკოლა ოთხ-კლასიანი და პირველ-დაწყებითი სკოლა ლიანოზოვისა, ერთ-კლასიანი. მარიამის დედათა ოთხ-კლასიანის სკოლის შენახვა დიდ ძალი ფული უჯდებათ ქალაქს და მოსწავლე ქალთა პატრონებს. რა სარგებლობა მოაქვს, რას გვმატებს ეს სკოლა? სრულიად არაფერს. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა ამ სკოლისა, მაგრამ იმედი იმედათ დარჩა, ხარჯები გაორ და გასამკეცდა, აღტაცებით მიგებება ხსენებულ სკოლის დაარსებისა და სიხარული გაგვიცრუვდა. როგორც წარსულ წელს, ისე აწ მდგომსაც (ეს მეორეთაა, რაც კურსს ათავებენ ამ სკოლაში ქალები) გაათავა რამდენმამე ქალმა კურსი. წელს გაათავა 12-მა ქალმა; აქტი ჰქონდათ 4 თიბათვეს, ამათში ოთხია ქართველი და 8 სომეხი.

ამ სკოლაში კურს-დამთავრებულთ არა აქვსთ ნება მასწავლებლობისა, არ ასწავლიან რიგიან ჭრა-კერვას, რაც ქალისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ამ ხელობით შავდღეში და გაჭირვებაში ლუკმა პური იშოვონ, ქართულად სწავლების ხომ ჭაჭანებაც არ არის. მიკვირს, თუ სომხები ამავე სკოლაში თავიანთ ენაზე სწავლობენ საღვთო სჯულს მაინც, ჩვენ, ქართველებმა, რაღა დავაშავეთ. აქ მარტო მკაცრი ყურადღებაა მიქცეული კატეხიზმოს სწავლებაზედ და ისიც რუსულად. აბა, ახლა ამ ახლად კურს დასრულებულთა ჰკითხეთ, ეს კატეხიზმო რა არის, საჭმელია თუ სასმელი? «ზა პრავოუჩენია»-ს კი, იცოცხლეთ, რომ მაღლა ფარდებში ეწევიან. ეხლა 22 მანათია აქ სწავლის ფული, როდესაც ზოგიერთ მშვენიერ სასწავლებელში, რომელიც სიღნაღის მარიამის სკოლაზე ათჯერ და ოცჯერაც მაღლა სდგას, 12 მანეთია. აი, თუნდა თავად-აზნაურთა სკოლა აიღეთ. არა კმარებენ იმას, რომ ეს 22 მანეთი კაი საპალნეა ხელ მოკლე და ღარიბის კაცისათვის, ახლა კიდევ შემოუღიათ ამავე სკოლაში ცალკე გარდასახადი—კარგ ჯამაგირიან მასწავლებლებისათვის ცეკვის ფული. კვირაში ერთხელაა თუ ორჯელ, არ ვიცი, და ამის ფული ცალკე უნდა იხადოთ, გარდა 22 მანეთისა, ოთხი მანეთი კიდევო. ახლა ვინ არის თავმდები, რომ 22 მან. მაგიერ ხვალ სწავლის ფულს 30 მანეთს. არ გაჰხდიან? ამაყობენ, რომ ჩვენს სკოლაში კურს-დამთავრებულებს გიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასში იღებენო. იღებენ მხოლოდ მაშინ, თუ მოამზადა ვინმემ ეგზამენისათვის, თორემ მოუმზადებლად გიმნაზიის ეზოსათვისაც კი არ ასუნებინებენ, არა თუ მიიღონ. მშობლებიც ყურ-მიგდებულები სხედან შინ, რაკი მიაბარეს სკოლაში შვილი, აღარა კითხულობენ, ასწავლიან რასმე მათ ბედკრულ შვილებს, თუ ჩილიკა-დოშობას ათამაშებენ; ბურთაობა და ეს ჩილიკა-დოშობა კი ზედ-მიწევნით იცან შეგირდებმა. ასე გასინჯეთ, აქტზედაც არ უშვებენ მშობელ-მზრუნველთ.

თქვენი რა მოგახსენოთ, მოქალაქენო, და მე კი მგონია, ასე არ იქნება. რიგიანი ჭრა-კერვა იმათ არ იციან, ცხოვრებაში გამოსადეგი საგნები არაფერი. აიღე და დაახეთქე ერთი რუსული. ისიც, იცით, როგორი რუსულია? საყველ-პურო! უსწავლელებმა ქართული მაინც იციან სხაპა-სხუპით, იმათ-კი, კურს დამთავრებულთ, არც რუსული იციან ფარსაგათ და ქართულიც ქართულს არ უგავთ.

ქართველი.

# ხოლერა

შემდეგი *)

## ნიშნები ხოლერისა.

მიაღწევს თუ არა ხოლერის ბაცილლა უვნებლად კაცის წელებს და დაიწყებს მრავლობას შიგ, იწყება სასტიკი ბრძოლა ბაცილლებსა და ავადმყოფს შორის. წელების წვენი, წელების სითბო ძლიერ ხელს უწყობს ბაცილლების ზრდასა და მრავლობას. ბაცილლები სწამლავენ ავადმყოფს თავის შხამით. ავადმყოფიც თავის მხრივ ებრძვის ბაცილლებს, ამზადებს თავის სხეულში ბაცილლების წინაალმდეგს, განმანადგურებელ ნივთიერებას. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო შინაგანი ბრძოლა კაცსა და ბაცილლებს შორის გარეგანად არ ცხადდება, რადგან ჯერ ხანად ბაცილლები ვერ ერევიან ავადმყოფის სხეულს. ეს ფარული ბრძოლა გრძელდება საზოგადოდ სამ დღემდის და ხან-და-ხან ერთ-ორ კვირამდისაც.

ბოლოს, როდესაც ბაცილლები საკმაოდ გამრავლდებიან და ხელს დარევენ ავადმყოფს, ხოლერის ნიშნებიც გამოჩნდება. პირველ ხანას, როდესაც ავადმყოფი ჯერ კიდევ ვერ არის ძლიერ მოწამლული ხოლერის შხამით, ეძახიან წინამორბედ ხანას. ამ დროს ავადმყოფს მადა ეკარგება, ენაზე ხაო აქვს, გული ერევა, მუცელი ებერება, უჭუჭყუნებს. თუმცა ფაღარათი აქვს, დღეში სამჯერ-რვაჯერ გადის კარში, თხლად და ბლომად, მაგრამ განავალს სადი ფერი აქვს. ავადმყოფს ღონე არა აქვს, სუსტად არის, ტანში ამცივნებს. ეს წინამორბედი ხანა გრძელდება საზოგადოდ 1—3 დღემდის, ძვირად ერთ კვირამდის.

ხშირად ამგვარის ფაღარათობის შემდეგ, ე. ი. რამდენისამე დღის ან ერთის კვირის შემდეგ, ავადმყოფი სრულიად რჩება. როდესაც ხოლერა ასე ადვილად ეკიდება კაცს, უნდა ვიფიქროთ, რომ ან ხოლერის ბაცილლები დასუსტებულნი არიან კუჭის მარილის-სიმჟავით, ძალა არა აქვთ და, მაშასადამე, ადვილად მარცხდებიან ავადმყოფის ბუნებრივ ძალებთან ბრძოლაში, ან ავადმყოფი უცბად იძენს იმმუნიტეტს, ე. ი. ამზადებს თავის სხეულში ბლომად ნივთიერებას, რომელიც აქარწყლებს ხოლერის შხამს, ან ჰკლავს ხოლერის ბაცილლას, რაც უნდა ძლიერი იყოს ეს ბაცილლა. ხშირად, ალბად, ორივე აქ ნახსენები მიზეზი მოქმედებს.

სამწუხაროდ, ხშირად ასე კარგად არ თავდება საქმე. ხოლერის წინამორბედფაღარათობიდან ერთი-სამის დღის შემდეგ ავადმყოფი უეცრად ძლიერ სუსტდება, ამცივნებს ტანში და ცნობა მისდის. თან საშინელი ფაღარათი და რწყევა უტყდება. აფაღარათებს ყოველ ათ წუთში და უფრო ხშირადაც. თითო გარედგასვლაზე ჩაის სტაქნის ოდენ განავალს გაასხამს ხოლმე. განავალს პირველ-ხანად კიდევა აქვს ფერი, მაგრამ მალე ფერი სრულიად ეკარგება, რადგან ნაღველი შრება, ნაღველი აღარ ერთვის წელების წვენს. განავალი თხელია, როგორც წყალი, თითქმის არაფრის სუნი არ უდის, ხან დამპალი ცილის ან ადამიანის თესლის სუნი უდის. თუ ჭურჭელში გააჩერე რამდენსამე ხანს, რაც განავალში გუნჯლები სცურავს, ძირს დავა. ამ დანალექს რუხ-მოთეთრო ფერი აქვს. ხოლერით ავადმყოფი ამ დროს დღეში ნახევრიდან ხუთ ლიტრა განავლამდის გადის. ხან ავადმყოფი, თუ ფაღარათი აქვს, წელების სიდამბლის გამო გარეთ არ გადის, არამედ განავალი წელებშივე რჩება, ამ გვარ ხოლერას ეძახიან მშრალ ხოლერას (cholera sicca). საბედნიეროდ, მშრალი ხოლერა, რომლისაგანაც რამდენსამე საათში ეღება ბოლო ავადმყოფს, ძლიერ იშვიათია. ფაღარათის დროს ავადმყოფს არც ჰინთვა აქვს, არც მუცლის ტკივილი, მხოლოდ მუცელი უჭუჭყუნებს და უჭყამპალებს.

ფაღარათობისათანავე ავადმყოფს უტყდება საშინელი, ხშირი რწყევა, ვერაფრით ვერ შესაჩერებელი. ნარწყევი ბლომად და ძალუმად ამოსკდება ხოლმე პირიდან და ცხვირიდან. ნარწყევს ჯერ საჭმლის ნაშთი ურევია დ ფეროვანი დ ნაღველნარევია, შემდეგ თან-და-თან მოთეთრო ჰხდება და ბრინჯის ნახარშს ემსგავსება. თუმცა ბევრს არწყევს ავადმყოფი, კუჭი მაინც სავსეა და ჰუჭყუნობს, რადგან კუჭის კედლებიდან გამოჟვენავს კუჭში სხეულის წვენი. რწყევას თან ახლავს საშინელი მოუსვენრობა და სლოკინი. ნარწყევს ან სულ არა აქვს სუნი, ან დამპალის ცილის სუნი უდის. დღეში 20 ლიტრამდის და მეტიც არის ხოლმე ამონარწყევი. ნარწყევი შესდგება წყლისაგან, რომელშიაც მცირეოდენი მარილი და სხვა და სხვა ნაწილია გახსნილი. რწყევა ხშირად განუწყვეტელია. ჭამა ან სმა შეუძლებელია, რადგან იმ წამსვე ამოჰყვება ხოლმე ნარწყევს. ავადმყოფს აწუხებს საშინელი წყურვილი.

მეტის-მეტის რწყევისა და ფაღარათისაგან ავადმყოფის პირისახე ჰხდება, ღაწვები (скулы) მეტად უდიდდება, თვალები ჩაუცვივდება, ცხვირი წაეწვეტება ხოლმე. კანი იმდენად მოდუნდება, რომ, ნაოჭად რომ მოკეცოთ, აღარ გაიშლება. - ერთის სიტყვით, სახე ისე იცვლება, რომ ველარ იცნობთ. ყურები, ცხვირი და ხელ-ფეხი ცივდება. ტუჩები, ხელ-ფეხი, მეტადრე ფრჩხილები, ლურჯდება. კანი ხშირად არის დაფარული ცივის ოფლით.

ექიმი ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქმნება).

*) იხ. „ივერია" № 259.

## სვანეთში ორის კვირით *).

შემდეგ განაგრძობს იოანე ბატონიშვილი: „ქ. ქვემო სვანეთი, რომელსა ეწოდების მელესი და ლაშხეთი და ამ ხეობას რაც სოფლები მიეწერება, ესე არს საგელოვანო საერისთო, ამაში მცხოვრები კომლი კაცი 525.

„ქ. ლენტეხი არს სადადიანოს სვანეთი, ესე თავისის სოფლებით არის კომლი 361.

„ქ. მუშკული არს რაჭის საერისთოზედ მიწერილი თავისის წვრილის სოფლებით, აქა მცხოვრებნი კომლი 122.

„ქ. ჩოლური არს მუშკულის მხარეს საგელოვნოს სვანეთის მემიჯნავე. ესე პირველ თვის ეყოდა ყიფიანთა და აწ გელოვანს უპყრია; არის აქა კომლი 58.

„ქ. სეტია არს საჯაფარიძო ადგილი და მუნ ჰსცხოვრებს ჯაფარიძე და ამ ადგილში თავისის სოფლებით არის კომლი მცხოვრებელი 221.

„ქ. ვალნათა არს საყიფიანო ადგილი, მუნ მცხოვრებნი არიან კომლნი 110. ესე (სვანეთი) პირველ იყო სამეფო და მერე იქმნა სამთავრო. ამაში მცხოვრებნი არიან თავადნი, აზნაურნი და საეკლესიო სოფლებიც არის"...[1])

დადეშქელიანების გვარი უძველესია სვანეთში. იგი მოხსენებულია საქართველოს მეფის ალექსანდრე დიდის (1413—1442 წ.) გუჯარში. იმ დროს სვანებმა მეფის მოხელე კაცი ჯაფარიძე მოკლეს, იმერეთის ერთ-ერთი ერისთავის ჩაგონებით. ამიტომ მეფე ალექსანდრემ დაუწესა სვანებს სისხლის ფასი და ვიდრე არ გადაიხადეს, მეფემ ფეხი არ გადმოადგმევინა რაჭა-ლეჩხუმში და სამეგრელოში (შვიდის წლის განმავლობაში) ჯაფარიძის მკვლელობა ჩაიდინეს მესტიელებმა. ამიტომ მეფემ მკვლელების მამულ-დედული უბოძა მოკლულის შვილებს და მათი შთამომავალნი დღესაც მესტიაში სცხოვრობენ და თავის აზნაურობა დღემდე კარგათ ახსოვთ.

*) იხ. «ივერია», № 258.

[1]) იოანე ბატონიშვილს მარტო ეს საინტერესო ცნობები მოჰყავს სვანეთის შესახებ; დანარჩენ საზოგადოებათა შესახებ ალბათ ვერ მოუხერხებია მასალის შეკრება.

# ფელეტონი

## ცოტა რამ ებრაელების შესახებ.

დაჩაგრულ ერთა ისტორიის ცოდნა ყველასთვის საინტერესო უნდა იყოს და მით უმეტეს ებრაელთა ტომისა, რომელსაც მრავალნაირი ტანჯვა-წვალება აუტანია, მრავალნაირი სოციალური და პოლიტიკური ტკივილები უგრძვნია, «ფსკერზე» ცხოვრება ბევრჯელ შეხვედრია, მაგრამ დროგამოშვებით ისევ ამოტივტივებულა ზევით და თავისი ფიზიონომია შეურჩენია, რადგან ძალდატანებით ფიზიონომიის შეცვლა არავითვის არ არის სამხიარულო, და თუ კი ერი ისტორიულ განვითარების გამო გამოიცვლის ფიზიონომიას—ეს არავისგან დასაწუნარი და დასაძრახისი არ არის.

ებრაელთა საქმე—ძლიერ რთული საქმეა, რომლის გარჩევა თხოულობს ღრმა დაკვირვებას. დღემდე რუსეთში თუ მარტო თითონ ებრაელები ფიქრობდნენ თავიანთთვის, თუ მარტო ისინი სცდილობდნენ თავიანთ ცხოვრების გაუმჯობესობას, ახლა თვით მთავრობის მიერ იქმნა მიქცეული ყურადღება ებრაელების ცხოვრების გაუმჯობესობისაკენ, დღეს თვით სახელმწიფოს გამგე-მმართველების თვალში ებრაელთა საქმე დაუყოვნებლივ გარჩევას თხოულობს. ეხლახან დანიშნულის შინაგან საქმეთა მინისტრის თ. სვიატოპოლკ-მირსკის პირით ბევრჯელ ვისმინეთ ებრაელების შესახებ კარგი სიტყვები—სჩანს, რომ ახალი მინისტრი კარგის თვალით უყურებს ებრაელთა ტომს, სცდილობს ამიერიდგან მაინც მოსპოს ის გულშესაზარი მოვლენანი, რომლებიც წითელ ლარივითაა გაბმული ებრაელთა ისტორიაში...

ებრაელთა ცხოვრებაში ორს, ფრიად სერიოზულ, მოვლენას აქვს დიდი მნიშვნელობა, სახელდობრ: ანტისემიტიზმს, ანუ ებრაელთა სიძულვილს, და სიონიზმს. ანტისემიტიზმი და სიონიზმი ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე მიმართულებაა; სიონიზმი, ანუ ებრაელთა დამცველი მიმართულება აუცილებელი, პირდაპირი შედეგია ანტისემიტიზმისა. ყოველივე შევიწროება იწვევს საწინააღმდეგო მოქმედებას. ანტისემიტიზმმა გამოიწვია სიონიზმი.

* * *

დასავლეთ ევროპის ანტისემიტიზმი ფრიად რთული მოვლენაა. თვით ანტისემიტები, რამდენადაც ისინი უკვირდებიან თავიანთ მოქმედებას, სდგანან მოდგმებრივ, ტომობრივ თეორიის ნიადაგზე: ებრაელისადმი სიძულვილი ბუნების კანონი ჰგონია; ებრაელთა რასსა, ანტისემიტების წარმოდგენით, ყველა არა-ებრაელს სიძულვილს უნდა უნერგავდეს თავის განსაკუთრებულ ბუნებრივ თვისებათა გამო. მაგრამ თუ დავუკვირდებით, დღევანდელს ანტისემიტურ მოძრაობაში დავინახავთ კლასებრივ ბრძოლის ელემენტს: მომაკვდავი ხელოსნობა ებრძვის მსხვილ მრეწველობას, წვრილი ვაჭრები იბრძვიან მსხვილ სავაჭრო სახლების წინააღმდეგ, ვალებში ჩაფლული გლეხი ებრძვის მევახშეს და სხვა. «ეკონომიურმა განვითარებამ მცხოვრებთა ერთი ნაწილი გამოდევნა მამა-პაპის ბინიდან და პროფესიონალურ მუშათა რაზმში ჩააყენა. აქ იმათ შეეჯახნენ ებრაელნი, რომელნიც, ჟამთა ვითარების გამო, უკვე დახელოვნებულნი იყვნენ ვაჭრობა-მრეწველობაში. ერის ამ ნაწილმა ამიტომ ებრაელებს ცუდის თვალით დაუწყო ცქერა და, წარმოიდგინეთ, ისიც-კი დაასკვნა, რომ ებრაელთა მოსპობა ჩვენს ცხოვრებას გააუმჯობესებსო».

თუმცა ანტისემიტიზმის ასეთი ახსნა სიმართლეს არ არის მოკლებული, მაგრამ უფრო ვრცელ ახსნას თხოულობს. ჩვენ უნდა გავიგოთ: ებრაელები წარმოადგენენ თუ არა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის მქონებელთ, ინტელიგენციის მეთაურთ; ამას გარდა—ებრაელთ აქვთ თუ არა რაიმე განსაკუთრებულნი თვისებანი და აგრედვე საჭიროა ვიცოდეთ—ეს თვისებანი მომდინარეობენ თუ არა მათის შთამომავლობით თან დაყოლილ ხასიათიდან?...

ებრაელთ მართლა აქვთ განსაკუთრებულნი თვისებანი, მაგრამ საქმე ის არის,—ეს თვისებანი მომდინარეობენ თუ არა ებრაელთა რასის ხასიათისაგან. ასე თუ ისე, ამის შესახებ პასუხს მოგვცემდა რასის განხილვა, მაგრამ ამასთანავე ეს განხილვა გამოიწვევდა მრავალ გვარს ჰო-არაობას. ამიტომ სჯობს გავითვალისწინოთ მოკლედ ებრაელთა ისტორია, რომ გავიგოთ მის ზნე-ხასიათის წარმომშობი მიზეზები.

ებრაელებს ვხედავთ პალესტინაში მადნების მფლობლებად, მაგრამ ერთ დროდან ამ მადნებს აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ისინი იმდენად, რამდენადაც იმის მეზობლებს აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, მეზობლებთან ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, ებრაელებმა გადასახლება დაწყეს. მადნეულობის ქვეყანამ თავისის კარჩაკეტილ მიდამოთი ღრმა ბეჭედი და კვალი დააჩნია მცხოვრებლებს: ახალ საზოგადოებას ადვილად ვერ შეეწყვნენ, თავიანთი ზნე-ჩვეულებანი არ დაივიწყეს, საცხოვრებელ ადგილს იცვლიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ, რაც შეიძლება, საჩქაროდ აუარებელი სიმდიდრე შეეძინათ და ისე დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

ჩვენ ვიცით, რომ ერთნაირი გარემოებანი ანვითარებს სხვა-და-სხვა ხალხში ერთსა და იმავე თვისებას, ერთნაირ გრძნობასა და ხასიათს. იმ თვისებათა გარდა, რომლებიც საერთო კუთვნილებას, როგორც ებრაელებისთვის, აგრეთვე სხვა მთიელ მცხოვრებთათვის, ებრაელებს ისტორიულ განვითარებაში ისეთი ბედი ეწვიათ, რომელიც ჯერ არც ერთ ხალხს არ გამოუცდია—ეს იყო განდევნა თავიანთ სამშობლო ქვეყნიდან. თავის სამშობლო ქვეყანაში ებრაელები ამოჟლიტეს, რის შემდეგაც ებრაელთა რიცხვ-მრავალ ახალ-შენებს ვხედავთ უცხო ქვეყნებში. ამნაირად, ებრაელების არსებობა, როგორც ერისა, რომელიც არ შეიძლება იყოს განსაზღვრულ ტერიტორიის გარეშე, მოისპო. ისინი გადაიქცნენ ტომათ (აქ ციგნები არ არიან სათვალავში ჩასაგდებნი, რადგან არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ), რომელიც უცხო ქვეყანაში სცხოვრობდა და რომელსაც სამშობლოსკენ მისწრაფება ძლიერი ჰქონდა, მაგრამ სამშობლო აღარ გააჩნდა; ებრაელები გადაიქცნენ ტომათ, რომლისთვისაც მფარველი იყო საჭირო, როგორც შემოხიზნულებისათვის, და რომელსაც მუდამ სდევნიდნენ, რომელსაც არ ჰქონდა ერთი განსაზღვრული ბინადრობა, თავშესაფარი, სადაც ებრაელებს შესძლებოდათ უშიშრად და თავისუფლად ეცხოვრათ. გარდა ამისა, ეს იყო ერთად-ერთი ტომი, რომელსაც მიწად-მომქმედი ელემენტი არა ჰყავდა.

ვაჭრობა, მრეწველობა და ინტელიგენტური პროფესია საუკეთესო საშუალებათ გადაექცათ ებრაელებს არსებობისათვის ბრძოლაში. მცხოვრებლების წოდებრივმა დაყოფამ გამოიწვია ებრაელთა ტომში სხვა-და-სხვა თვისებანი. სოფელში ცხოვრების უფლება ებრაელებს მოესპოთ; მათი ფიზიკურად განვითარება შეჩერებულ იქმნა; სამაგიეროდ, გონებრივათ წინ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიშქელიანები მეთექვსმეტე საუკუნეში ცდილობდნენ ინგურის სათავემდე სვანების დამორჩილებას, მაგრამ ბეჩოს იქით ფეხი ვერ მოიკიდეს: სახელოვანმა გმირმა ფუთა დადიშქელიანმა თავი შეაკლა უშკულელებს და ვერას გახდა.

ჩვენ მოგვყავს აქ ერთი ძველი ტყავზედ ნაწერი (ხუცური) ხვეულის (სიგრძე 5 არშინი) შინაარსი, გადმოწერილი განსვენებულის დ. ბაქრაძისაგან:

«ესე არს ყოვლად წმიდაჲ უბიწო კრებაჲ, რომელნი დასხნეს და განაწესნეს წმიდათა მოციქულთა, ბრძანებითა ღვთისათა ჰრომს და იერუსალიმს და ყოველთა მონასტერთა და ქალაქთა სოფელთა და ეკლესიათა. დაიწერა წმიდაჲ ესე მატიანე სალოცველად ყოველთა სჳანეთისა კრებისა შემომწირველთა და შემოვედრებულთათვის, ვინცა ეწერსა ამა კრებასა მოეგება, მათ ყოველთა შეუნდვენ ღმერთმან.

ღმერთო აშენე აკურთხე სახლი და საყოფელი ისლამ დადშგელიანისა...

«სულსა ისლამ დადშგელიანისა სვანეთის კუცესთა მაღხინებელსა, ახალკრებისა მოწესესა შეუნდვენ ღმერთმან.

მის მიცვალებულთა ყოველთა შეუნდვენ ღ̃თნ.

სულსა მარიხა რუჩეგიანისა შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ციუეს დადშგელიანისა შ̃ნ ღ̃ნ
სულსა ჯანხუხს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ქუვარს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ჯეუანს დადშგელიანისა შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა სათვითს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა უაზმაქვას დადშგელიანისა შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა თამარს ჩარკვიანის შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა უაზმს და მირანგუს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა კუკუნილს და კაკუნილს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ფრიად ცოდვილსა ისლამს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ბაკუს და ღმახს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა მის სიძეთა დადაშის და ნაგუჯუ შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ისლამს... საქუეძს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ქალინას და მაქას შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ისლამს ათაბუეს თახუს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ისლამის სტუმართა ჯიბერდის, შაობას და ბადრის შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ისლამს და მის დედ-მამასა შ̃ნ ღ̃ნ...
სულსა გურანგუ წიფიანისა შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა მაცაკუას შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა სიოშას მღდსა (მღვდელსა?) ისლამის ერთგულსა შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა კახაბერს შ̃ნ ღ̃ნ.
სულსა ჩართველიანის გუგას შ̃ნ ღ̃ნ.
მის შვილს გუგნიას შ̃ნ ღნ.

სულსა ამის მჩხრეკელსა შ̃ნ ღ̃ნ, უეაგ, უეაჳ და უეაზ, უფალო ღმერთო ადღეგრძელე სორთმან დადიშქელიანი და მისი შვილები.

ღმერთო, აკურთხე და აშენე სახლი და საყოფელი სორთმან დადიშქელიანისა. კრება შეგვეყრეს, ოცდათხუთმეტი კარი შესწირეს და სხჳაჲ უმ̃რავი.

კიდევ სულ კურთხეულსა სორთმანს დადიშქელიანსა შეუნდოს ღ̃ნ და სულსა მის მამას ილამაზსა და დადიშქელს შეუნდოს ღ̃ნ.

სულსა მის მეუღლესა შგვილიფხს შნდ...

სულსა მის ძმასა თათარხაუს და უარაშაას შ̃ნ ღ̃ნ.

მის გამზდელს დეკოს დეკანოზიანს... ხუგაშის... სულსა მის მეღიქიფეს (მერიქიფეს) ბიბუს მახეჯგიანისა. და ღ̃ო კვალად ამართლე და ადღეგრძელე სორთმან დადიშქელიანი და მისი შვილები და მეტად სადმთო და კრება ქნეს: შეგვყარეს სამოც და ათი ხუცესი...

უფალო იესო ქრისტე, გაუდე კარი სამოთხისა მისა დასა მირანგუს შეუნდოს ღ̃ნ. და ხაჩარს დეკანოზიანსა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა მის დიასახლისს უაზმაქუს... ²)

აქ მოხსენებული სალმთო-კრება, ჩვენის ფიქრით, სწორეთ იმ აზრით მოახდინა და გაუმასპინძლდა სამოცდა ათ ხუცესს სორთმან დადეშქელიანი, რომ თვისი გავლენა დაემკვიდრებინა ზემო სვანეთში.

მღ. ბ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

²) იხ. Археол. пут. по Гуріи и Адчарѣ, Бакрадзе, 198—199 გვ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მოსკოვის გაზეთი „Русскія Вѣд.“-ი (№ 310) მსჯელობს მეთაურ წერილში რუსეთის ერის სიღარიბისა და საზოგადოდ დაქვეითების შესახებ, როგორც გონებრივის, ისე ეკონომიურის მხრივ.

«როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ქვეყნის სიმდიდრეზე, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის ციდან კი არ სცვივა, კანცელარიებში კი არ წარმოებს და კეთდება, არამედ წარმოიშობა იმ მილიონ ოჯახების შრომით, რომელთაგანაც შესდგება ერი. თუ ეს შრომა მხნედ და ცოდნით არის მოხმარებული, ერი მდიდრდება, მაგრამ თუ რომელისამე უბედურის გავლენით ენერგია შრომისა სუსტდება, თუ ოსტატობა არ ძლიერდება მოთხოვნილებათა გაძლიერების დაგვარად, მაშინ ნელნელა ეპარება ერს სიღარიბე, რომელსაც, ადრე თუ გვიან, მოსდევს ნამდვილი სიღატაკე ერისა. აი ეს მარტივი, ელემენტარული ჭეშმარიტებანი საეკონომიო მეცნიერებისა, რომელნიც, სამწუხაროდ, არ უნდა შეიგნოს თავის ძლიერებით დაბრმავებულმა ბიუროკრატიამ, გვაჩვენებს იმ ცვლილებას, რომელიც მოხდა რუსეთის საერო ეკონომიაში ადმინისტრაციულ წესწყობილების მოქმედებისა გამო.

იყო დრო,—განაგრძობს გაზეთი,—როდესაც გლეხობა ბატონის გავლენას ემორჩილებოდა მამულ-დედულიანად, ბატონ-ყმობა გადავარდა, ბედი და უბედობა გლეხობისა თვით გლეხებზე შეიქმნა დამოკიდებული, იმათ მხნეობისა მუყაითობისა და მუშაობის ხალისზე, მაგრამ ახალს საგლეხო კანონში ჩაურთეს ძველიც. ამას გარდა, გლეხს სხვა ბატონი გაუჩნდა, ბატონის მაგივრობა დაიწყო ერობის უფროსმა თავის ხელქვეითებითა, რომელნიც ხალხისათვის კი არა ზრუნავდნენ და ზრუნავენო, პირ-იქით ტვირთავენ ათასნაირის გარდასახადით, ასუსტებენ ერის ენერგიას, უკლავენ ხალისს შრომისას, რაიცა ბევრმა კომიტეტმა დაამოწმაო. ამიტომ, რაც კი კარგია სოფელში, სტოვებს სოფელს, გაურბის, სოფელში-ღა რჩება უთავო და უზრუნველი ხალხი, რომელთათვისაც «თუნდ ბალახიც ნუ ამოვა», არ ინაღვლიანო. ჰხედავ, სოფელი ცარიელდება, ნაოხრდება, ქვიშითა და სილით ავსებულა სახნავ-სათესი, მშვენიერი მინდვრები დაოღრო-ჩოღრუებულა, ჭაობად ქცეულა, ნათესს ჭია-ღუა სჭამს. აი ეს ხალისის დაკარგვა მილიონ ოჯახებისა შრომისადმი, რომელიც განუწყვეტლივ მოქმედობს ყველგან, არის პირველი მიზეზი ჩვენის ეროვნულის სიღარიბისა.

ამაზე ნაკლები არ არის მეორე მიზეზიც. ხალხი მრავლდება, იზრდება, ამას მოსდევს ზრდა და გამრავლება გადასახადთა, ამიტომ საჭირო ხდება გაძლიერდეს გლეხთა მოსავალიცა. რომ ამ საწადელს მივაღწიოთ, სხვა გზა არა გვაქვს, უნდა სამუშაოდ ვიხმაროთ ის სამეურნეო იარაღები, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამ მოიგონა და ცხოვრებამ იშვნია. ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, საზოგადო პირველ-დაწყებითი განათლება; მხოლოდ განათლების საშუალებით შეიჭვრეტს ხალხში სამეურნეო ცოდნა, მხოლოდ სწავლით გაწვრთნილი მოუვლის მამულს და მოიხმარს სარგებლიანად ახალს სამეურნეო იარაღებსა. თუ მოვიცდით, აცა-დაიცა თვით გლეხობამ თავის-თავად შეიგნოს და შეისწავლოს სამეურნეო მეცნიერებაო, გამდიდრდეს იქნამდე, რომ თვით აამოქმედოს თავისი ძალნიო, მაშინ დიდხანს მოგვინდებოდა ცდა და ამასობაში მთელი გუბერნიები შიმშილით ამოწყდებოდა. ჩვენ ხალხი უნდა გადავარჩინოთ სიღარიბესა, ამიტომ უნდა ყოველივე ავამოქმედოთ იმის სახსნელად, რაც კი განათლებას წინ წამოუყენებია—ცხოველი სიტყვა, მწერლობა, ადვილად გასაგები წიგნი, გამოცდილება, პირადი მაგალითი, რათა დავაჯეროთ, დავარწმუნოთ გლეხობა, რომ საჭიროა და აუცილებელი ხმარება ახალის სამეურნეო იარაღისა, ტეხნიკისა. რომ ეს განხორციელდეს, უსათუოდ საჭიროა საქმეში ჩაერიოს განათლებულ კაცთა ძალა; ყოველივე განათლებული და გონიერი, რაც კი მოიპოვება რუსეთში, უნდა შეერთდეს მტკიცედ და ებრძოლოს გაუნათლებლობას, უვიცობას, რომელიც ერთი უმთავრესი მიზეზია აწინდელის ჩვენის სიღარიბისა.

«მაგრამ რას ვხედავთ ამ უკანასკნელ 20 წლის მოქმედებაში? იმის მაგივრად, რომ მიეწვიათ საქმეში ჩასარევად განათლებულნი, იმის მაგივრად, რომ, როგორც დასავლეთ ევროპაში ხდებიან, დაუახლოვონ განათლებული ნაწილი ერსა, ჩვენი ადმინისტრაციის პოლიტიკა ცდილობდა, რაც კი შეიძლებოდა, დაეშორებინა ისინი ერთი-ერთმანეთისაგან. ყოველივე მოქმედება, ზოგადი ანუ კერძო, სადაც კი განათლებულს ადამიანებს შეხვდებოდათ გლეხებთან დაახლოვება, დიდს ყურადღებას იპყრობდა, თვალს ადევნებდნენ და ავიწროვებდნენ. ყველამ იცის, რა ნაირად იყო ამ ხნის განმავლობაში შევიწროვებული მუშაობა ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულებაში... ამ კანცელარიის ოპეკუნობამ, ყოველ წამში სულის შეხუთვამ, წვრილმანობა ზოგი დააშორა ხალხსა, ზოგსაც სრულიად წაართვა ხალისი მუშაობისა, დიადი საზოგადო საქმე გაუკეთებელი რჩება იმიტომ, რომ არ უშვებენ იმასთან იმ ხალხს, რომელსაც შეუძლიან განსაკუთრებით მისი გაკეთება; ჩვენ ნაკლებად გვაქვს სკოლები, სადაც საზოგადო სწავლება იყოს ხალხისა, ერთობ ცოტა გვყავს საერობო აგრონომები, საწყობები, არა გვაქვს დამატებითი სამეურნეო კურსები, არც წვრილწვრილი სამეურნეო საზოგადოებანი, არც სადგურები მეურნეობისა და პირუტყვის გასაუმჯობესებლად. ყოველგან შეფერხებული და გაჩერებულია საქმე, ან გაუბედავი დაწყობილებაა რაიმე საქმისა»...

# თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა კავკავში. 7 ნოემბერს ქართველ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა ავ. ცაგარლისა—«ქართველი დედა».

წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

უსუფ-ფაშას როლს თამაშობდა ბ-ნი ყაზბეგი, ომარხანისას—ბ-ნი რამიშვილი, ფარსადანისას—ბ-ნი მესხიშვილი, სულეიმან ბეგისას—ბ-ნი მარკოზაშვილი, პაპუას—ბ-ნი თხელიძე, ვახტანგს—ბ-ნი უთურაშვილი, მარინეს როლს ასრულებდა ქ-ნი ყაზახიშვილი, ლეილას თამაშობდა ქ-ნი მოზდოკელაშვილი და სხვ.

ქ-ნი ყაზახიშვილი ცოტათი სიტყვებს ერთმანეთში ურევდა და ჩქარობდა. ლეილას როლი კარგად შეასრულა ქ-ნმა მოზდოკელაშვილმა. ბ-ნმა უთურაშვილმა მშვენივრად შეასრულა ვახტანგის როლი. ბ-ნ რამიშვილმა ომარხანის როლი ძალიან კარგად შეაძრულა, ქ-ნმა როინაშვილმა კარგად ითამაშა ფატმას როლი და დანარჩენებსაც არა უჭირდათ-რა.

D.

# რუსეთი

უწესოებანი ვარშავაში. «პრავიტელსტვენი ვესტნიკ»-ში (№ 250) დაბეჭდილია: კვირას, 31 ოკდომბერს, ნაშუადღევის 12 საათსა და 20 წუთზე, ვარშავაში, კათოლიკეთა ეკლესიაში, წირვის გამოსვლამდე, გრიბნოი მოედანზე გამოვიდა ერთი ჯგუფი, რომელმაც აათრიალა წითელი დროშა და დაიწყო სარევოლიუციო სიმღერები. ამავე დროს ამ ჯგუფიდან ვიღაცეებმა რევოლვერები ესროლეს პოლიციელებსა და იქვე მოჰკლეს პოლიციელი პროკოპი შომინიცა და დასჭრეს უბნის ზედამხედველი და ორი პოლიციელი. პოლიცია იძულებული გახდა იარაღი ეხმარა, ამასთან იმ უბნის ზედამხედველმა, რომელსაც ორჯელ ესროლეს, ხმალი დაატყდა და წააქცია მსროლელი. ამის შემდეგ მანიფესტანტები გაიფანტნენ, უმრავლესობა ეკლესიისკენ გაიქცა და შეერია იქიდან გამოსულ ხალხს. ეკლესიაში წირვა უკვე გათავებულიყო. მანიფესტანტებმა ახლა ეკლესიის კარიბჭიდან დაუწყეს სროლა პოლიციას. ამის გამო ეკლესიას შემოერტყნენ პოლიციელნი, ჟანდარმები და დაბარებული ჯარი.

იმათ, ვინც ეკლესიის კარი-ბჭეზე იდგნენ, ობერ-პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა, გაეშვათ მოხუცნი, ქალები და ბავშვები. როდესაც ესენი წავიდნენ, ხალხის ერთი ნაწილი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ არეულობაში, ეკლესიაშივე შევიდა. დანარჩენნი, რიცხვით 413 ადამიანი, ქვეითა ჯარის თანხლებით, გაიგზავნენ ქალაქის გამგეობის ეზოში საიდანაც, გვარების ჩაწერის, შემდეგ, ნაწილი განთავისუფლებულ იქმნა.

ამავე დროს დემონსტრანტები ცალკე ჯგუფებად იკრიბებოდნენ გრიბნოი მოედნის მახლობელ ქუჩებში და სროლით გრიბნოი მოედნისაკენ მიდიოდნენ. ბაგნოს ქუჩაზე ხალხი, პოლიციის მოთხოვნილების მიუხედავად, წინ მიიწევდა, ქვებს უშენდა და რევოლვერებს ესროდა პოლიციასა და ჯარს. რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლეს ერთ მახლობელ სახლიდანაც.

ამის გამო ბაგნოს ქუჩაში მყოფი რაზმი იძულებული გახდა სროლა დაეწყო. როგორც შეკრებილი ცნობებიდან გამოირკვა, დემონსტრანტთაგან მოკლულ იქმნა ექვსი კაცი, დაიჭრა ოცდა ექვსი. ეკლესიაში შესულ ხალხს, წინამძღვარის თანადასწრებით, ობერ-პოლიცმეისტერმა ურჩია თავის ნებით გამოსულიყო, მაგრამ ამაოდ. გამოვიდნენ მხოლოდ რამდენისამე საათის შემდეგ. ყველანი, რიცხვით 205 კაცამდე, ჯარმა ქალაქის გამგეობის ეზოში მიიყვანა, სადაც მათი გვარები ჩასწერეს და ნაწილი გაანთავისუფლეს. პოლიცია, ჟანდარმები და ჯარი ეკლესიაში არ შესულან.

ნაშუადღევის 4 საათისათვის წესიერება აღდგენილ იქმნა და შემდეგ დღეებში აღარ დარღვეულა.

— ნაფიც ვექილის თანაშემწეს შანტერს, რომელიც ამას წინად მთავრობის განკარგულებით გაგზავნილი იყო ციმბირში, შინაგან საქმეთა მინისტრმა თავ. სვიატოპოლკ-მირკიმ ნება დართო ისევ დაბრუნდეს მოსკოვში.

— 29 ოკდომბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ წამოსვლის ნება დართო ქალ. არხანგელსკიდგან უფის სასტატისტიკო ბიუროს გამგეს ბ-ნს პაშოკოვსკის. ამ უკანასკნელს მინისტრად ყოფილმა აწ განსვენებულმა

---

დიოდნენ. როცა დასავლეთ ევროპაში მოისპო ყველა უფლებრივი გარჩევა, კაპიტალისტთა და ინტელიგენტთა მებაირაღტრეთ მაინც ებრაელები იყვნენ.

ჩვენთვის დ რუსეთის ხალხისთვის ანტისემიტიზმის ასეთი ახსნა არ კმარა. რუსეთი, დასავლეთ ევროპას რომ შევადაროთ, განათლებით ძლიერ უკანა სდგას. რუსეთში ყველა ნასწავლი, განურჩევლათ სქესისა, უფრო ადვილად შესაფერს სამსახურს შოულობს. გერმანიაში კი, სადაც მრეწველობა უმწვერვალეს ხარისხამდეა განვითარებული, გაცხარებული ბრძოლაა სქესთა შორის. იქ, გერმანიაში, ქალები დიდს მეტოქეობას უწევენ მამა-კაცებს.

იმ ხალხს, რომელიც სცხოვრობს პრიმიტიულ ტრადიციულ ურთი-ერთობაში, თავის გარდა არაფერი სწამს. ასეთი ხალხი ცუდის თვალით უყურებს უცხოელებს მაშინაც კი, როცა საერთო ინტერესები აქვს მასთან. ასეთი ხალხი არა-შინაურებს ადამიანათ არა სთვლის, მათში, ვითომდა, ვერ ამჩნევენ ადამიანურ გრძნობას, თვისებას, სძაგთ, მუდამ მზად არიან გამოიჩინონ მათდამი სასტიკობა, რომლის მარტო ოდენ გახსენებაც კი კაცს ნერვებს აუშლის.

ასეთი მტრული დამოკიდებულობა არ-არის გამწვავებული იმ არა-შინაურებთან, რომელთანაც მოულოდნელად შეგხვდება საქმის დაჭერა; ასეთი არა-შინაური ჩქარა მოეშორდება, ამასთან, არა-შინაურს ისე უყურებ, როგორც კურიოზს და შეუძლიან გამოიწვიოს დროებით სიყვარულიც-კი, ვიდრე მძულვარება. იქ კი, სადაც არა-შინაური მკვიდრთაგან განსხვავდება ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებით, ენით და, გარდა ამისა, როცა იგი მოულოდნელი და უცაბედი სტუმარი არ არის, არამედ მკვიდრი მეზობელია, რომელთანაც დამოკიდებულობა უნდა იქონიო, ეკონომიური ურთი-ერთობა გაერთებს, იქ შენი და მისი ინტერესები ეჯახებიან ერთმანეთს, იქ შური-მტრობა არა-შინაურებთან საშიშ ფორმას იღებს.

აღმოსავლეთ ევროპაში ეს ითქმის ებრაელებზე, მაგრამ ამის მსგავს მოვლენას ვხედავთ სხვა ადგილებშიაც, სადაც ერთ და იმავე ტერიტორიაზე სცხოვრობს სხვა და სხვა ტომი. უმეტეს შემთხვევაში ავსტრიასა და სპარსეთში ეროვნული შეჯახება (კონფლიქტები) შეგვიძლიან მივაწეროთ ინსტიქტიურ ზიზღს, რომელსაც კულტურას მოკლებულნი მცხოვრებნი უცხოელებთან გამოიჩენენ ხოლმე. აგრეთვე შეერთებულ შტატებში ზანგთა სიძულვილი იყო ზემოხსენებულ ზიზღის ნაყოფი.

რითი შეიძლება მოისპოს ასეთი სიძულვილი?

ამისათვის არის ერთად ერთი წამალი: არა-შინაურები უნდა შეუერთდნენ მკვიდრ მცხოვრებთა უმრავლესობას, მასსას. ამნაირად შეგვიძლიან გავარჩიოთ ებრაელთა საქმე. ხელი უნდა შევუწყოთ ებრაელების სხვა ხალხისაგან განცალკევების, განთვისების მოსპობას, თუმცა ეს ასე მალე არ შეიძლება. რათა მოვსპოთ ებრაელების სხვა ერისაგან ასეთი განთვისება, ამისათვის საჭიროა მთლად ხალხის (მასსა) განათლება. იქ, სადაც ებრაელებს ავის თვალით უყურებენ, შეგვიძლიან მოვსპოთ ასეთი ყურება ხალხის განათლებით. ეს არის ამის უებარი წამალი...

გაუნათლებელ კაცს და მის უცხოელ მეზობელს ღრმა კლასიური წინააღმდეგობა თუ არ ჰყოფს, მკვიდრის სიძულვილი არა-შინაურთან ადვილად ისპობა მის გონებრივ განვითარებისათანავე. მოკლედ რომ ვსთქვათ, პრიმიტიული, ძველი კაცი გარდაიქცევა თუ არა ახალის აზრების კაცად, ძველის აზროვნების მაგივრად შეიძენს თუ არა ახალ აზროვნებას, ავიწყდება თავისი ვიწრო ეგოისტური, ინსტიქტიური გრძნობა და ამნაირად შეძლება ეძლევა შეითვისოს უცხოელი.

* * *

ეხლა სიონიზმზე ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. უკიდურესმა ანტისემიტიზმმა, როგორც დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე აღმოსავლეთშიაც, ააღორძინა წინააღმდეგი მიმართულება—სიონიზმი. ასეთი მიმართულება ნამდვილი ბუნებრივი მოვლენაა და აი რათ: ებრაელთა ერი, ყოველ კუთხიდან დევნილი, ყოველ ადგილას დაჯაბნებული, აბუჩად აგდებული, ბოლოს თავის თავს ჰპატრონობს, სხვის დახმარების იმედი ეკარგვის და თავის ძალას აგროვებს, რომ მით მტერს გაუმკლავდეს. მაგრამ ვინ იყო ეს მტერი? ეს მტრები იყვნენ ერთის მხრით ბურჟუა-კაპიტალისტები, რომლებსაც ებრაელთა ბურჟუა-კაპიტალისტთა დამარცხება სურთად, როგორც სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე პოლიტიკურათაც. ესენი ორივე თინაბარნი არიან; მეორე მხრით—გონებით ბნელი ბრბო, წაქეზებული კაპიტალისტებისა და მის დამქაშებისაგან, -უდანაშაულოთ სდევნიდა ებრაელებს. ყველაზე უფრო, რასაკვირველია, ამ მხეცურ ბრძოლაში დამარცხდნენ ებრაელთა წვრილნი მწარმოებელნი და, ერთ დროს ლუკმა-პურის პატრონები, გადაიქცნენ პროლეტარებათ, რომლებიც იძულებულნი გახდნენ სხვა პროლეტარებთან ერთად ეძებნათ შრომის ბირჟაზე სამუშაო. დღეს ებრაელთა მუშა ხალხი დიდ ძალს წარმოადგენს; დღეს ის, ეკონომიურად დაბეჩავებული, ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკურადაც დაჩაგრულია; ასეთ მდგომარეობის შესაცვლელად საჭიროა მშრომელ ელემენტების სოლიდარობა და სწორედ ამას ვამჩნევთ ებრაელთა მუშა ხალხში.

ზევით ვსთქვით, რომ ანტისემიტიზმმა გამოიწვია სიონიზმი, როგორც ებრაელების დამცველი, მექომაგე მოძრაობა. ეჭვი არ არის, რომ სიონიზმის აღორძინებაში დიდი როლი იგივე ებრაელთა ბურჟუა-კაპიტალისტებმა იკისრეს. სიონიზმი, როგორც ვიცით, არის ისეთი მოძრაობა, რომელსაც აზრად აქვს ებრაელთა ეროვნული გაერთიანება და პალესტინაში დასახლება; სიონიზმს აზრად აქვს პალესტინაში ებრაელებს მოუპოვოს თავ-შესაფარი, დაასახლოს იქ და მიწად-მოქმედების ხელოსნობას შეაჩვიოს.

ებრაელთა მშრომელი ნაწილი, ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დაბეჩავებული, ასეთ განკერძოვების აზრს შორს უდგა, არ აინტერესებდა ვიწრო ეროვნული იდეალი; ებრაელთა მშრომელ ელემენტის აზრი საერთაშორისოა. შესაძლოა პირველად ებრაელთა ფიზიკურ შრომის წარმომადგენელმა სიმპატიურად შეხედა სიონიზმის აღორძინებას, მაგრამ, გონიერ დაკვირვების შემდეგ, ასეთი მოძრაობა ანაქრონიულ მოძრაობათ ეჩვენა და ზურგი შეაქცია.

სიონისტების იდეალი კერძო ხასიათისაა. ეს სიონიზმი არამც თუ ებრაელთა მშრომელ ელემენტისთვის სასარგებლოა, პირიქით, ზარალი მოაქვს მისთვის. შოვინისტურ სიონიზმით აღვიძებენ სხვა ერთა შორის ნაციონალურ გრძნობებს; ამით შეაქვთ ცხოვრებაში განთვისების, განცალკევების აზრი და ამა თუ იმ ერს ერთი-ერთმანეთს აშორებენ, რაც აუცილებლად ჰბადებს ერთა შორის მძულვარებასა და მტრობას.

სვ—სკ.

ფონ-პლევემ 1903 წ., უფის გუბერნატორის სოკოლოვსკის შუამდგომლობის თანახმად, მიუსაჯა ხუთის წლით არხანგელსკის გუბერნიაში ყოფნა, როგორც «პოლიტიკურად არა საიმედო კაცს». ამ დადგენილების დროს არ უხელმძღვანებიათ არავითარის საქმის გამოძიებით და გამოკვლევით.

# წ ე რ ი ლ ი
## რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ.

გუშინდელ, 12 ნოემბრის «ივერიის» ნომერში ვინმე სკვითს ჩემი წერილების სახელი სადღესო დაუნათლიავებია თავისი სტატიისათვის. რადგანაც ზოგიერთებმა სკვითად მე მიმიღეს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ, რომ სკვითი მე არა ვარ და ფიქრადაც არ მომსვლია კლდია სკვითში გავცვალო *).

კლდია.

*) ვამოწმებთ, რომ სკვითი კლდია არ არის.
რედ.

# დ ე პ ე შ ა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.
12 ნოემბერი.

**პორტ-საიდი**, 11 ნოემბერი. რუსთა ესკადრა სუდიდან აქ მოვიდა. მიღებულია დაბეჯითებულნი სიფრთხილის ღონისძიებანი, რათა აცილებულ იქმნას რაიმე ინცინდენტი გემების გავლის დროს არხში. რუსეთის სადიპლომატო აგენტი კაპიტანი შვანკი და კონსული ბრაუნი გაემართნენ გემით სადროშო გემ «სისოი დიდისაკენ». რუსთა გემებზედ მყოფმა ორკესტრებმა შეასრულეს ინგლისის საეროვნო საგალობელი, რაკი ნავთსადგურში ინგლისის კრეისერი «ფურიოზი» იყო. რუსთა ყველა სამხედრო გემზედ არის აპარატები უმავთულო დეპეშების გზავნისათვის. პორტი თავისუფალია. რუსეთის გემები დაიტვირთებიან სასმელის წყლითა და სურსათ-სალეველით, აგრეთვე თივით საქონლისათვის.

**ლონდონი**, 11 ნოემბერი. ლორდი კერზონი, ინდოეთის ვიცე-კოროლი, ინდოეთს გაემართა.

**სან-ლუი**, 11 ნოემბერი. იაპონიის პრინც ფუშიმას, რომელიც აქ იმყოფება გამოფენის დასათვალიერებლად, მოჰპარეს სასტუმროში, საცა ის იდგა, 5000 დოლლარის ძვირფასი ნივთები.

**სტამბოლი**, 11 ნოემბერი. ოსმალეთმა ისე მოახერხა, რომ შეუძლებელი გაჰხადოს უკან დაბრუნება ლტოლვილთა დანარჩენის ნაწილისა. ოსმალეთი უკმაყოფილოა იმ დეკლარაციით, რომელიც სერბიის მორიგებას შეეხება, აგრედვე იმ ცნობით, რომ ბულგარიამ შეუკვეთა 71 ბატარეია არტილერიისა. მთავრობა მუქარად ჩასთვლის, შავის ზღვის ესკადრა თუ გამოვიდა ამ ზღვიდანაო.

## საღამოს დეპეშები.
12 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. 11 ნოემბერს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალურნი ცნობანი არ მოსულა.

**ხუანშანი**, 11 ნოემბერს. (საკ. კორ.) 8 ნოემბერს იაპონელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ დიდის ზარალით იქმნენ უკუ-ქცეულნი. ჩვენი ზარალი: დაიჭრა მედროშე ლამპაკოვი; მოგვიკლეს 10 და დაგვიჭრეს 30 ჯარის-კაცი. გუშინდელმა დღემ მშვიდობით გაიარა.

**პარიჟი**. (ჰავასი) საფრანგეთის პარლამენტის ერთმა ჯგუფმა, სამედიატორო სამართლის დაწესების მომხრემ, მოიწვია ამ სამართლის მომხრენი დანიიდან და შვეცია-ნორვეგიიდან. მოვიდნენ 70, ამ ქვეყნების პარლამენტების წევრნი. მოწვეულ სტუმრებს ვოგზალზედ მიეგებნენ.

**ათინა**. შავს ჩლვაზედ დაიღუპა ბერძენთა გემი «ელპისი», რომელზედაც 60 კაცი იყო. ყოველმა ცდამ გემის პოვნისათვის ამაოდ ჩაიარა.

**ბელგრადი**. ოსმალთა ჯარებმა გაჰფანტეს ბერძენთა მეამბოხენი. მოელიან სამინისტრო კრიზისს. არ იციან, მთლად სამინისტრო გადადგება, თუ რამდენიმე მინისტრი გამოიცვლება მხოლოდ.

**სოფია**. მინისტრ-პრეზიდენტმა და გარეშე საქმეთამ სიტყვიერი ნოტა გადასცეს ოსმალეთის კომისარს, ამ ბოლოს დროს ძალ-მომრეობას მიჰმართეს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებმა ადრიანოპოლის ვილაიეტში იმ ლტოლვილთადმი, რომელთაც ეპატიათ სასჯელი და რომელნიც დაბრუნდნენ თავიანთ ნაოხარზედ დასაბინავებლადაო. მინისტრ-პრეზიდენტმა დაიმოწმა მე-4 მუხლი ოსმალეთ-ბოლგარიის მორიგებისა და სთქვა, ვსთხოვ ოსმალეთის მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი და დაიცვას პირადობა და ქონება დაბრუნებულ ლტოლვილთაო.

**ტოკიო**, 11 ნოემბერი (რეიტ.) ცეცხლი გაჩნდა პორტ-არტურში 9 ნოემბერს, შუადღისას და 14 საათს გასტანა. ოფიციალური დეპეშა პორტ-არტურთან დაბანაკებულ იაპონელთა ლაშქრის მთავარის შტაბისა ადასტურებს ამ ცნობას და თან დასძენს, რომ ცეცხლმა იფეთქა არსენალს ახლოვო. მიზეზი საზღვაო ზარბაზნით მსროლელი ყუმბარა ყოფილა.

**მუკდენი**, 10 ნოემბ. მოხდა რამდენიმე შებრძოლება მზვერავთა რაზმებისა. რუსებმა ტყვედ შეიპყრეს 11 კაცი. პუტილოვის კლდეზედ იერიშის მიტანის დროს ხელ ჩართული ბრძოლა შეიქმნა. იაპონელნი ხიშტებით უკუ აქციეს. თოფის სროლა მხოლოდ 6 წუთს იყო, მაგრამ ძლიერი კი. შესანიშნავია, რომ ყველა თოფი მოკლულ იაპონელთა ტყვიით იყო გახეთქილი. რუსებმა დაჰკარგეს 30 კაცი.

**მუკდენი**, 11 ნოემბ. (რეიტ.). ორის უკანასკნელ დღის განმავლობაში სროლის ხმა არ ისმის.

**მთავარი ბანაკი იაპონელთა მანჯურიის ლაშქრისა**, 10 ნოემბერი. (რეიტერი). 9 ნოემბერს 600 რუსმა იერიში მიიტანა იაპონელ დარაჯთა რაზმზედ ესინლუნშუნთან. იაპონელთა სადარაჯო რაზმმა უკან დაიწია უმთავრეს რაზმისკენ. სოფელი გადასწვეს რუსებმა. 10 ნოემბერს, გათენებისას, რუსები რამდენჯერმე მოულოდნელად თავს დაესხნენ რკინის გზის ხიდს მდ. შახესა და პაოტცუენზედ, მაგრამ იაპონელებმა უკუ აგდეს.

**პორტ-საიდი**, 11 ნოემბ. (რეიტერი). გემი «ფიორენტინა» საფრანგეთისს დროშით მიდის, «კატერინა» და «ემერალდი» —ინგლისის დროშით. ჰფიქრობენ, რომ ეს გემები, რუსეთის საადმირალო მინდობილობით, დაათვალიერებენ სუეცის რუსხმულის თავთხელსა და ჰკრომებს იმ ადგილებში, სადაც ესკადრამ უნდა გაიაროს, შედუნის გარშემო.

**კადრიფი**. (რეიტერი). ბირჟაზედ ლაპარაკია, რომ იაპონელებს დიდ-ძალი ქვა-ნახშირი უყიდნიათო. იაპონელებს შეუკვეთნიათ 100,000 ტონნი ქვა-ნახშირი იმ პირობით, რომ იანვარსა, თებერვალსა და მარტში ჩააბარონ. ირწმუნებიან აგრედვე, ვითომ რუსებსაც ეყიდნოთ 300,000 ტონნი ქვა-ნახშირი, რომელსაც რუსეთში გაჰგზავნიან მომავალ 1905 წლის დასაწყისსაო.

**ლონდონი**. იაპონელთა მესამე ლაშქარში მყოფი «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი იუწყება, რომ 10 ნოემბერს იაპონელთ სხვა არავითარი კარგად გამაგრებული ფორტი არ აუღიათ, გარდა პანლუნშანის ორის პორტისა, რომელიც ჯერ ისევ აგვისტოში დაიპყრესო. იაპონელთ უჭირავთ ერლუნშანის წინა სიმაგრეები, ეგრედ წოდებული კუროპატკინის ფორტი, და აგრედვე ზოგიერთი სხვა მოწინავე სიმაგრენიცა.

**პეტერბურგი**. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშები. 1) 10 ნოემბრის თარიღით: «9 ნოემბერს ჩვენის ჯარების შუბლზედ თავ-გამოდებულებმა დაზვერეს ზოგი-ერთი ადგილები და ტყვედ წამოიყვანეს 11 იაპონელი. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას». 2) 11 ნოემბრის თარიღით: «10 ნოემბერს ბრძოლის თაობაზედ მოხსენებანი არ მოგვსვლია».

სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 12 ნოემბრის თარიღით: «11 ნოემბერს ბრძოლის თაობაზედ მოხსენებანი არ მოგვსვლია».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი

## „ცოდნა“-ს
### წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი
ისყიდება:

| | |
|---|---|
| დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქაღალდზედ. | 60 კ. |
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა—სურათით. . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 3 მნ. ,, |
| ლექ—ონი სახოკიასი რუსულ-ქართულად. | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში-აჩუკი აკაკისა . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტ. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) . . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრაამის და იობის ლექსი . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| თხზულება ია ეკალაძისა . . . . | 1 მან. ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| იგივე რუსულად თარგმანი . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| ჩემი თავ გადასავალი აკაკისა . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9—,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3—,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. გრამატიკა | 1—50 კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . . | 2—,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—50 კ. |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1—,, „ |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 „ |
| Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა . | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟა-ფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| „ აკაკისა ბრესტოლის ქაღალდზე. . | 50 კ. |
| „ ილია ჭავჭავაძისა . . . . . . | 50 კ. |
| „ ალექსანდრე ყაზბეგისა . . . | 50 კ. |
| ,, რაფიელ ერისთავისა. . . . | 40 კ. |
| ,, ბარათაშვილისა . . . . . . | 50 კ. |
| ,, ეგნატე ნინოშვილისა . . . . | 30 კ. |
| ,, გიორგი წერეთლისა . . . . . | 30 კ. |
| ,, ლეონიდე ეპისკოპოზისა . . . | 30 კ. |
| ჯგუფი თამარისადმი ვეფხ. ტყაოს. მიმართ. | 50 კ. |
| საქართველოს დიდება, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**



იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი — 1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თ ი თ ო მ ა ნ ე თ ი ს გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»



ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კ ა ლ ე ნ დ ა რ ი (ს ა თ ვ ე ო)
### „ცოდნა“

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

◆ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ◆

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ· Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—7).



პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგები ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-საცავში. ადრესი: Тифлисъ· Книжная торговля, Іос. Зах· Имедашвили·

(10—3)



За годъ съ пересылкой **6** р.

ОТКРЫТА **на 1905 г.** ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету

27-й годъ издан. **„РОДИНА“** 27-й годъ издан.

РАЗСРОЧКА допускается при подпискѣ **2** р.

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

**52** №№ иллюстрир. литер. ЖУРНАЛА **52** №№ политич. и обществ. ГАЗЕТЫ **52** № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ **52** № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“

**48 КНИГЪ** 1) 12 книгъ РОМАНОВЪ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ 2) 12 книгъ СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ **Осипа ШУБИНА** 3) 12 книгъ содерж. статьи по научн. вопрос. и свѣд. для практ. жизни библіот. „ЗНАНІЕ и ПОЛЬЗА“ 4) 12 книгъ, назыв. „ОБЩЕПОЛЕЗНАЯ БИБЛІОТЕКА“: 12 руководствъ для самообразованія

**Безплатныя приложенія:** 12 № „Другъ дѣтей“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск., **ТАБЕЛЬ КАЛЕНДАРЬ** и **КАЛЕНДАРЬ-справочникъ на 1905 г.**

большая ОЛЕОГРАФІЯ съ картины **„ЗА ЧЕСТЬ и СЛАВУ РОССІИ“** | большая ГРАВЮРА въ тонахъ **„НА ВОЙНУ въ 1877 г.“**

Подробная программа безплатно. — „РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.

4—6—1



ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვევლი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.

(5—6—)



## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

## შ ე ს ა კ ე რ ა დ

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.


Дозволено цензурою Тифлисъ, 12 ноября, 1904 г.     Тип. Е. И. Хеладзе Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.